საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გამყრელიძე ივანე ევდოკიმეს ძე

გამყრელიძე ივანე ევდოკიმეს ძე [17 (29). II. 1856, სოფ. უწერა, ახლანდ. ონის მუნიციპალიტეტი, – 2. XII. 1939, თბილისი], პედაგოგი, საზ. მოღვაწე. დაამთავრა ნოვოროსიის (ოდესა) უნ-ტის ფიზიკა-მათ. ფაკ-ტი. 1878-იდან მუშაობდა თბილ. პროგიმნაზიის (შემდგომში–თბილ. II გიმნაზია) მასწავლებლად, ინსპექტორად. 1905 მიიწვიეს თბილ. ვაჟთა პირველი გიმნაზიის დირექტორად. გ. ამ სკოლის პირველი ქართვ. დირექტორი იყო. 1911 *პოლიტ.* არასაიმედოობის ბრალდებით მოხსნეს. 1915 დააარსა „საშუალო კულტურულ-ტექნიკური სასწავლებელი“, სადაც თავი მოუყარა სხვა სკოლებიდან გარიცხულ მოსწავლეებს. მოგვიანებით ეს სკოლა ტექნიკურად გადაკეთდა და 1921 შემდეგაც განაგრძობდა არსებობას. გ-ს ეკუთვნის კრებული „თბილისის პირველი ვაჟთა გიმნაზია გელათში“, სადაც აღწერილია 1906 მოსწავლეთა მოგზაურობა ქუთაის-გელათში. მოგზაურობა-ექსკურსია, გარდა ისტ. ძეგლთა დათვალიერებისა, მიზნად ისახავდა სკოლის შემოქმედებით და სპორტ. წრეების ნამუშევართა დემონსტრირებას.

დ. გურგენიძე